ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №74/გ

ქ. მცხეთა 30 მაისი 2014 წელი

ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორე მხრივ შპს „GF company",წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერიან ჩიქოვანის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე; (წარმომადეგენლობითი ხარჯი).

1. ხელშეკრულების საგანი

1. 2014 წლის 01 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გასამართ კულტურული ღონისძიებისთვის 400 ერთეული სკამის ტრანსპორტირება.(CPV92300000).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2014 წლის 01 ივნისი.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 600 (ექვსასი) ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 განახორციელოს 400 ერთეული სკამის ტრანსპორტირება თბილისიდან მცხეთაში და ღონისძიების დამთავრების შემდეგ მცხეთიდან თბილისში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი გიორგი პაპაშვილი.

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"
შპს „GF company"

ს/კოდი: 400031167
ბანკი: „პროკრედიტ ბანკი"

ბ/MIBGGE22
ა/ა GE86PC0113600100029751
მის: გლდანი ნაძალადევის რაიონი
თემქა,III მ/რ I კვ.კორპ.8 ბ21
ტელ: 595 19 59 55
დირექტორი

ვ. ჩიქოვანი

„შემსყიდველი"
მ ცხეთის მუნიციპალიტეტი

ს/კოდი: 236094196
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

გ. ატაშვილი